MES 0 21 0000018283

21/01/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის ოცდაოთხ დეკემბერს. (24.12.2020)**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითიინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი;
ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ***შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:***

ნინო ენუქიძე - რექტორი;
ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. *შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ექსპერტები:*

ქეთევან აფთარაშვილი;
ნინო დოლიძე;
თინათინ გაბრიჩიძე.

საჩივრის ავტორი:
მარი ინაშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. *შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.*

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს დაწყების წინ დაწესებულებამ მიმართა საბჭოს შუამდგომლობით სხდომის დახურვასთან დაკავშირებით, რაზედაც საბჭომ განუმარტა, რომ ეს გარემოება საჭიროებდა დასაბუთებას და იმის განსაზღვრას თუ რა საფუძვლით ითხოვდა ინსტიტუცია აღნიშნულს. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავდა ყველა იმ შემთხვევას, რა შემთხვევების დროსაც შესაძლოა საბჭო დახურულიყო. დაწესებულებამ აღნიშნა სხდომის მიმდინარეობისას, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო განხილვის პროცესში გაჟღერებული არასაჯარო ინფორმაცია ან პირადი მონაცემები, რომლებიც იძლეოდა მონაწილე პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ასეთი საფუძვლით ყველა სხდომის დახურვის აუცილებლობა დადგებოდა და მოუწოდა უფრო მეტი კონკრეტიკისკენ, კერძოდ, სხდომის დახურვა რამდენიმე შემთხვევაში შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო, თუკი სხდომის მიმდინარეობისას სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიულ საიდუმლოებასთან ექნებოდათ საქმე. მოცემულს კი განსაზღვრავდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27 პრიმა მუხლი და შემდგომი მუხლები. მან ასევე მიმართა დაწესებულებას, რომ თუკი აღნიშნული საფუძვლით სურდათ მათ სხდომის დახურვა, დეტალურად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული ეს საფუძველი. ასევე თავმჯდომარემ აღნიშნა ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში სხდომას ისედაც მხოლოდ მონაწილე პირები ესწრებოდნენ, აქვე დასძინა, რომ სხდომა ზოგადი წესის თანახმად ისედაც საჯარო იყო, თუმცა, სამართლებრივად რომ სწორად მიდგომოდნენ ამ საკითხს, სხდომის დახურვისას სახეზე უნდა ყოფილიყო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები. თუკი კვლავ იყო სხდომის დახურვის ინტერესი, დაწესებულებას უნდა განემარტა რა საფუძვლით ითხოვდა მოცემულს და დაესაბუთებინა აღნიშნული საფუძველი. დაწესებულება დაეთანხმა, რომ ვინაიდან სხდომას ესწრებოდნენ მხოლოდ ის პირები, ვისი მოლოდინიც მათ ჰქონდათ და გარეშე პირი არ ესწრებოდა, თანახმა იყვნენ რომ სხდომა არ დახურულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე შუამდგომლობა საბჭოს დახურვასთან დაკავშირებით.
საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა დაწესებულებას სხდომის დახურვასთან დაკავშირებით და საბჭოს სხდომა გაგრძელდა საჯაროდ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო საჭირო დოკუმენტაციის მათთვის მიწოდებას და დისტანციურად ჩატარებული ინტერვიუს შედეგიან დასრულებას. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტ მარი ინაშვილის მიერ ცენტრში წარდგენილი საჩივარი. საჩივარი ეხებოდა შემდეგ გარემოებებს, კერძოდ, ნაშრომი არ დაიშვა საბოლოო დაცვაზე პლაგიატის გამო, ასევე სტუდენტს, მოცემული ნაშრომის ავტორს, მხოლოდ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა დაეკორექტირებინა საკუთარი ნაშრომი, ხოლო სხვა სტუდენტებმა რამდენჯერმე შეძლეს იგივე პროცედურის განხორციელება. ასევე, განცხადებაში მომჩივანს ყურადღება ჰქონდა გამახვილებული სამაგისტრო ნაშრომის კვლევით ნაწილში დაწესებულების მხარდაჭერისა და ჩართულობის თაობაზე და აპელაციის პროცედურებზე. განაცხადიდან გამომდინარე ავტორიზაციის მეორე და მეხუთე სტანდარტის შესაბამისობის დადგენის მიზნით საჭირო გახდა განხორციელებულიყო ვიზიტი, რომელიც 28 სექტემბერს იქნა ჩანიშნული დისტანციური სახით. ვიზიტის დროს გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაციები. მათი გაცნობის შედეგად გამოიკვეთა დამატებითი გარემოებები, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან გამოეთხოვა სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აქედან გამომდინარე გამოიკვეთა ის გარემოებები, რომლებიც საჭიროებდა დასკვნის პროექტში ასახვას.

აკადემიური საბჭოს დებულებით იყო განსაზღვრული, რომ პლაგიატის შემთხვევას განიხილავდა აკადემიური საბჭო, რომელიც ქმნიდა საკითხის შემსწავლელ კომისიას. აკადემიური ეთიკის კოდექსში ნათლად იყო ფორმულირებული ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელის ოქმში უნდა ყოფილიყო დასაბუთებული ფაქტი პლაგიატის შესახებ. აქედან გამომდინარე ექსპერტებმა შეისწავლეს აკადემიური საბჭოს ოქმი და ვიზიტის დროსაც აქედან

გამომდინარე დასვეს კითხვები. მაგისტრანტის ნაშრომი განიხილა აკადემიურმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ ყოფილიყო დაშვებული საბოლოო დაცვაზე. ამავდროულად სტუდენტს მიეცა საშუალება ნაშრომის მომზადება და წარდგენა ყოფილიყო მომდევნო სემესტრში შესაძლებელი. გარდა ამისა, აკადემიური საბჭოს ოქმიდან გაირკვა ის ფაქტი, რომ დამატებითი დისციპლინური წარმოების დაწყება არ იყო მიზანშეწონილი საბჭოს მხრიდან. საკითხის განხილვა განხორციელდა 2020 წლის 7 ივლისს.

საბჭოს თავმჯომარის მხრიდან დაისვა შეკითხვა იმის შესახებ იყვნენ თუ არა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში დარგის სპეციალისტები და მოხდა თუ არა დასაბუთება იმისა, რომ ტექსტის დამთხვევა იყო ეგრეთწოდებული პლაგიატი?

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ “BTU”-ში იყო საგანმანათლებლო და სამეცნიერო წარმომადგენლობითი რექტორის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი, ხოლო წევრები კვლევითი ცენტრის დირექტორი და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის წარმომადგენელები. შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია შესაბამისად ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა.

საბჭოს წევრის მიერ დაისვა შეკითხვა იმის შესახებ თუ რა დარგში იყო განხორციელებული სამაგისტრო ნაშრომი, რაზედაც უპასუხეს რომ ნაშრომი ეხებოდა ‘’კერძო სექტორში ტექნოლოგიების დანერგვით ინკლუზიური დასაქმების პრობლემების გადაჭრა’’-ს. თავად სტუდენტი კი გახლდათ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრანტი მენეჯმენტის მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა მაგისტრანტის ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებსა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ფუნქციაზე. ვიზიტისა და დოკუმენტაციის განხილვის დროს რამდენჯერმე წამოიწია წინ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ჩართულობის საკითხმა. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ინტერვიურების დროს ხელმძღვანელი ამბობდა, რომ ვალდებული იყო თავად მიეწოდებინა ინფორმაცია მაგისტრანტისათვის ციტირების წესთან დაკავშრებით, თუმცა პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების ნაწილთან დაკავშირებით არ ერთვებოდა კომუნიკაციაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ყურადღება გაამახვილეს ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კეთილსინდისიერების კოდექსში ჩანაწერზე, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ პლაგიატის გამოვლენაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ხოლო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებული იყო დასრულებამდე პერიოდულად შეემოწმებინა ნაშრომი აკადემიური ეთიკის კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის გამოვლენის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივ ბარათს, რომელიც წარდგენილ იქნა აკადემიური საბჭოსთვის, თან ახლდა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და ნაშრომის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათები, რომლებიც ფაქტობრივად იდენტური იყო. აღნიშნულის დროს საუბარი იყო იმაზე, რომ პლაგიატის მაჩვენებელი არის 25 პროცენტი და რომ ვლინდება ციტირების წესის დარღვევა ისევე, როგორც წყაროს ტექსტში დამოწმების წესის დარღვევა და აქედან გამომდინარე, ითხოვდნენ საკითხის შესწავლას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის მკაფიოდ ყოფილიყო განმარტებული ფუნქცია-მოვალეობები უკვე მათ მიერ პლაგიატზე შემდგომი რეაგირებისა და გაკონტროლების ნაწილში. ხელმძღვანელის ჩართულობასთან დაკავშირებით ექსპერტებს თავად სტუდენტთანაც ჰქონდათ კომუნიკაცია, რაზეც მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ანტილპაგიატში შემოწმების შემდგომ ნაშრომი ხელმძღვანელთან აღარ განუხილავს გამომდინარე იქიდან, რომ მას უკვე ჰქონდა წინასწარი დასკვნა ხელმძღვანელისა, რომელიც დადებითად იყო შეფასებული. ექსპერტებმა გამოითხოვეს აღნიშნული წინასწარი დასკვნა და ნახეს, რომ გარკვეული

ხარვეზების მიუხედავად აღნიშნული იყო, რომ ნაშრომი მზად არის დაცვაზე წარსადგენად. გარდა ამისა მაგისტრანტი თვლიდა, რომ ანტიპლაგიატის შედეგების განხილვა არ იყო ხელმძღვანელის ფუნქცია და ამიტომ მასთან მიმართვას ამ მოტივით უარყოფდა.
ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ დაწესებულებას გამოქვეყნებული ჰქონდა ვებ გვერდზე ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები და ხელმისაწვდომი იყო როგორც სტუდენტის, ასევე ხელმძღვანელისათვის, თუმცა მათი მოსაზრებით ამ მიმართულებით საჭიროა დამატებითი მუშაობა და ინფორმირება.
შემდგომი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ სასურველია ვადების დაცვით შემუშავებულიყო სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელის საბოლოო დასაბუთებული დასკვნა და აღნიშნული დასკვნა ხელმისაწვდომი ყოფილიყო მაგისტრანტისათვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პლაგიატის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პლაგიატის ფაქტის დასაბუთება ხდება კომისიის და ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ. ასევე, ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრულია, რომ 5 კალენდარული დღის ვადაში მიეწოდოს ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის ავტორს. ექსპერტებმა ვერ მოიპოვეს ინფორმაცია, რომ საბოლოო დასკვნა პლაგიატის დადასტურების თაობაზე სამაგისტრო ნაშრომის ავტორისათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი. პროცედურებთან დაკავშირებით ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ნაშრომი პლაგიატზე პირველად გაიგზავნა მაგისტრანტის მიერ 11 ივნისს, 15 ივნის მიუვიდა ანტიპლაგიატის პასუხები და 17 ივნისამდე მიეცა საშუალება გამოესწორებინა ნაშრომში მსგავსებების შემთხვევები. 18 ივნისს ხელმეორედ შემოწმდა ანტიპლაგიატის პროგრამით, თუმცა ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნა დაიწერა დარღვევით, კერძოდ, საბოლოო დასკვნა 25 ივნისით არის დათარიღებული, მაშინ როდესაც მათ 5 კალენდარული დღე ჰქონდათ რეალურად მინიჭებული. შემდგომი გარემოება, რაზეც ექსპერტმა ისაუბრა ეხებოდა იმას, რომ მაგისტრანტის თქმით სხვა სტუდენტებს დამატებით მიეცათ შესაძლებლობა ნაშრომის წარდგენის. გარკვეულ რაოდენობას სტუდენტებისას გუგლის გლობალური პრობლემის გამო მიეცათ შესაძლებლობა გამოეგზავნათ ნაშრომი 18 ივნისს ნაცვლად 17 ივნისისა. ექსპერტების მოსაზრებით თუ განსაზღვრულია რომ ბეჭდური ნაშრომი ელექტრონულ ვერსიასთან ერთად და ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად ამობეჭდილი სახით უნდა ჩაბარდეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, აქედან გამომდინარე ჩნდება მათთვის კითხვის ნიშნები. რჩევა გაიცა ექსპერტების მხრიდან, რომ დაწესებულებას აღნიშნული საკითხი უკეთ შეესწავლა.
ექსპერტთა თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ 21 სექტემბრის ბრძანებით სტუდენტს ჯერ შეუწყდა სტატუსი, ეს ინფორმაცია აისახა საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში და საფუძველად დასახელდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაგისტრანტი შემოფარგლულიყო მხოლოდ გაფრთხილებით და შემდგომ მომდევნო სემესტრში წარედგინა ნაშრომი. ამავდროულად, რეესტრში შეიტანეს ცვლილება ბრძანებაში სტატუსის შეწყვეტაზე. ცვლილება ეხებოდა იმას, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი. შემდეგ სტატუსის შეწყვეტა შეიცვალა შეჩერებით. 25 სექტემბერს გამოიცა ცვლილების თაობაზე ბრძანება და აისახა რეესტრში დაგვიანებით, კერძოდ 2 ოქტომბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 127/ნ ბრძანების თანახმად საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ინფორმაცია შედის არაუგვიანეს 5 დღის ვადაში. მოცემულ ფაქტზე მათ ჰქონდათ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და დაწესებულებამ დაადასტურა ფაქტი დარღვევასთან დაკავშირებით აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელეს 2 ოქტომბრამდე, კერძოდ 28 სექტემბერს. აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა 2.1 სტანდარტს.
საბჭოს თავმჯომარემ დაწესებულებას მიმართა გაეკეთებინა კომენტარი მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ მან იკითხა თუ რატომ იყო თავდაპირველად შეწყვეტის ბრძანება გამოცემული, ხოლო შემდგომ შეჩერების ბრძანება? ასევე მოცემული ბრძანების დაგვიანებით გამოცემასთან დაკავშირებით სთხოვა განმარტება გაეკეთებინა.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, რომ ბოლომდე წარმოედგინათ მათი დასკვნის შესახებ ინფორმაცია და შემდგომ მიმართავდნენ კითხვებით დაწესებულებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მთლიანად შეისწავლეს მე-5 სტანდარტი, კერძოდ 5.1 და 5.2-ით გათვალისწინებული რეგულაციები, რომლებიც ეხებოდა სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებასა და შეწყვეტას. ექსპერტმა ისაუბრა, რომ მათ მიერ რაიმე რეკომენდაციები ან შენიშვნები არ იყო მათი მხრიდან, ვინაიდან აღნიშნული საკითხი იყო გამჭვირვალე, სამართლიანი და შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები იყვნენ მოქმედი რეგულაციების შესახებ. დაწესებულებას ჰქონდა სხვადახვა საინფორმაციო არხი თუ გზა, რითიც აწვდიდა სტუდენტებს ინფორმაციას მარეგულირებელი დოკუმენტაციის, სტუდენტის სტატუსის თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სტუდენტის ხელშეკრულებაც, რომელიც, როგორც აღნიშნეს მაგისტრანტისათვის იყო დეტალური, გასაგები და მკაფიო. ხელშეკრულება რეფერირებას აკეთებდა ეთიკის კოდექსზე და მისი დაცვის ვალდებულებაზე.
საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტებს კითხვით: როდესაც დაიწერა პირველი ბრძანება შეწყვეტის შესახებ, ფორმულირება იყო ამგვარი: ''სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო'', იყო თუ არა აღნიშნული ასახული სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებაში ?
ექსპერტის თქმით, გაწერილი რეგულაციების თანახმად, ყველაფერი შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან, თუმცა ეს ფაქტი, რომელიც ეხებოდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას ეწინააღმდეგებოდა დაწესებულების შიდა რეგულაციებსა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 21 სექტემბერს რექტორის ბრძანების მიხედვით სტუდენტს შეუწყდა სტატუსი, შემდგომ ამ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, ხოლო შეჩერების საფუძველში მითითებული იყო რომ'' 2021-2022 სასწავლო წელს სტუდენტს შეუწყდებოდა სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო''. ექსპერტთა დასკვნით, ეს საფუძველიც არ შეესაბამებოდა დაწესებულების შიდა რეგულაციებს, რადგან სტუდენტს შეიძლება 5 წელი ჰქონდეს სტატუსის შეჩერების ვადა და ეს იმას არ ნიშნავდა, რომ 2021-2022 წელს ვერ მიაღწევდა სწავლის შედეგებს. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას არ ჰქონდა არც შიდა და არც გარე რეგულაციებით გამართლებული საფუძველი.
5.1 სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ვადებს, რომელზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ მაგისტრანტს უკუკავშირი ნაშრომზე დაუბრუნდა 15 ივნისს, მას ნაშრომის გადამუშავების ვადად ჰქონდა 2 დღე, რაც არასაკმარისად ჩათვალეს და დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია გადაეხედათ სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე წარდგენის ვადებისათვის.
რაც შეეხებოდა 5.2 სტანდარტს ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს მაგისტრანტთა მხარდაჭერაზე. თუმცა სხვა სტუდენტებთან შეხვედრისას, სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება ხელმძღვანელთან მიმართებაში ისევე როგორც მომჩივანმა მარი ინაშვილმა.
ექსპერტი დაუბრუნდა საკითხს იმის თაობაზე თუ რამდენად უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელი ჩართული ამ პროცესებში, მას შემდეგ, რაც მოხდებოდა პლაგიატის სისტემაზე ნაშრომის შეფასება. მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციებში შედიოდა ის, რომ შეემოწმებინა ნაშრომი პლაგიატთან დაკავშირებით, თუმცა მსგავსების ნიშნების გამოკვეთის შემდგომ ხელმძღვანელის როლი აღარ იკვეთებოდა. ექსპერტმა დაამატა ისიც, რომ ეს უფრო დამოკიდებული იყო ხელმძღვანელის კეთილ ნებაზე.
საუბარში ჩაერთო მომჩივანი და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მან აღნიშნა, რომ იმ დროს როდესაც მას დაწესებულებამ მისწერა, რომ ნაშრომში ჩასწორების ვადა განესაზღვრა, მან ამის შესახებ აცნობა ხელმძღვანელს, ვისგანაც მიიღო პასუხი, რომ პლაგიატთან დაკავშირებით მოცემული პრობლემის აღმოფხვრა მას არ ეხებოდა.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ეთიკის კოდექსის მიხედვით სტუდენტს აქვს უფლება დაესწროს დისციპლინური კომისიის სხდომას, თუმცა რადგან არ შემდგარა სპეციალური კომისია და არც დისციპლინური წარმოება არ დაწყებულა სტუდენტს არ მიუღია მონაწილეობა მოსმენაში. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სტუდენტი ყოველთვის უნდა ესწრებოდეს მსგავსი საკითხების განხილვას, რათა შესაძლებლობა მიეცეს დააფიქსიროს მისი პოზიცია. ექსპერტმა ასევე უპასუხა საბჭოს წევრის შეკითხვას, რომ სპეციალური კომისია არ შედგა, უნივერსიტეტის განმარტებით არ იყო დამატებითი შინაარსობრივი განხილვა საჭირო და არ საჭიროებდა დამატებითი წევრების მოწვევას.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტებს განათლების აღიარების წესთან დაკავშირებით, რომელიც არის მეხუთე სტანდარტის ერთ-ერთი ქვესტანდარტი - თუ ნაშრომში აღმოჩნდა პლაგიატი არის თუ არა დახარისხებული რამდენი პროცენტის შემთხვევაში შეიძლება გადავიდეს შესწორებაზე და რამდენი პროცენტის შემთხვევაში უნდა იქნეს თავიდან შესრულებული ნაშრომი.

ექსპერტთა თქმით, მსგავსების მინიმალური ზღვარია 12 პროცენტი, რის შემდეგაც სტუდენტს ნაშრომი უბრუნდება გადასამუშავებლად. ხოლო, ხელახალი გამოგზავნის დროს თუკი ისევ აღმოჩნდა 10-12 პროცენტზე მეტი აღნიშნული ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე.

მეორე სტანდარტის 2.2. და 2.3 ქვესტანდარტის შესახებ ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს დეტალურად ჰქონდა აღწერილი შიდა ხარისხის კონტროლის მექანიზმები, მუდმივად ტარდებოდა კმაყოფილების კვლევები როგორც სტუდენტების, პედაგოგების და მოწვეული პერსონალის, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის. დაწესებულებას უდევს 2018-2019 წლის შედეგები და მოცემული შედეგებით ექსპერტებმა იმსჯელეს თუ რამდენად კარგად აწარმოებდა დაწესებულება შიდა ხარისხის კონტროლს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი რაც გამოიკვეთა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შესახებ იყო შენიშვნები 2018-2019 წლისთვის, რომელიც დაწესებულებას რეკომენდაციების სახით ჰქონდა გაცემული და როდესაც ექსპერტები გაესაუბრნენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს, გამოიკვეთა გარემოება იმის შესახებ, რომ არ არის განსაზღვრული, თუ რამდენ სამაგისტრო ნაშრომს შეუძლია ხელმძღვანელობდეს ერთი პროფესორი ან მოწვეული პერსონალი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწორედ ამან განსაზღვრა ის პრობლემები, რომლებიც შეიქმნა მოცემულ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, რადგან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთი პროფესორი იყო ათი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. ამიტომაც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რათა დადგენილიყო გონივრული ლიმიტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისათვის თუ რამდენ ნაშრომს შეუძლიათ რომ უხელმძღვანელონ. რაც შეეხებოდა 2.2 ქვესტანდარტს, უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსი, რომელიც განთავსებულია “BTU”-ს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და კარგად არის განსაზღვრული როგორც აკადემიური თავისუფლების სტანდარტები, ასევე უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები ასევე განსაზღვრულია პლაგიატთან დაკავშირებული სტანდარტები და პროგრამა “თურნითინის” მუშაობის პრინციპები. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პლაგიატთან დაკავშირებით ძირითადი პრობლემა გამოვლინდა იმაში, რომ პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები პრაქტიკაში არ არის ეფექტურად გამოყენებული, რაც გამოჩნდა კიდევაც მომჩივანის არსებულ პრობლემაში. ექსპერტმა ასევე ისაუბრა, რომ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ განაცხადში მხარდაჭერასთან დაკავშირებით იყო ყურადღება გამახვილებული, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ნამდვილად დროულად იქნა წარმოდგენილი ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ კვლევასთან დაკავშირებით თუკი სტუდენტს წერილი სჭირდებოდა დაწესებულებამ დროულად გაუმზადა და მიაწოდა, ასევე, რა დოკუმენტებიც მოითხოვა სტუდენტმა დროულად მოახდინეს რეაგირება მიუხედავად პანდემიის პირობებისა. აქედან გამომდინარე ექსპერტმა ჩათვალა საჭიროდ, რომ დაწესებულების მხარის და მათი ხარისხის სამსახურის დადებითი მხარეც აღენიშნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ პოზიცია ექსპერტების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და ასევე, პლაგიატთან დაკავშირებით რა საკითების გაუმჯობესებას აპირებდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წელს განხორციელებული ვიზიტისას მათ ყველა პროცედურულ ნაწილში დადებითი შეფასება მიიღეს ექსპერტთა მხრიდან, რის შედეგადაც მათმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია.
დაწესებულების პოზიციის მიხედვით აკადემიურმა საბჭომ, რომელიც დარგობრივი სპეციალისტებით იყო დაკომპლექტებული და მათ მარი ინაშვილის ნაშრომი სიღრმისეულად შეისწავლეს, დაასკვნეს, რომ ნაშრომის ნახევარი პლაგიატზე იყო იდენტიფიცირებული, თუმცა ამის მიუხედავად, დაწესებულებამ მისცა შესაძლებლობა და მიიღო გადაწყვეტილება არათუ რაიმე მკაცრი, არამედ თანამშრომლობითი ფორმა მიეცა ამ ურთიერთობისთვის. მათ კიდევ ერთხელ მისცეს მაგისტრანტს შესაძლებლობა გადაეხედა ნაშრომისათვის ბიბლიოთეკის სამსახურში, რომელიც ფლობს "თურნითინის" პროგრამას და რომელიც უმეტესად მონიტორინგის სამსახურშია ჩართული. საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ტექსტის დამთხვევა იყო 54 პროცენტი და დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა. ბიბლიოთეკის სამსახურმა წარმოადგინა ის, თუ რა ინტენსივობით ატარებდა ტრენინგს მთელი სემესტრის განმავლობაში პლაგიატის შესახებ. ხელმძღვანელები როგორც ვერბალურად, ისე წერილობით აწვდიდნენ ინფორმაციას სტუდენტებს იმის შესახებ თუ რას ნიშნავდა პლაგიატი, როგორ უნდა შემოწმებულიყო პლაგიატზე ნაშრომი და ა.შ. ამის გარდა ტარდებოდა ტრეინინგები და ეს ხელმისაწვდომი იყო და ახლაც არის ყველა სტუდენტისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ 54 პროცენტი იყო ტექსტის დამთხვევა და არა პლაგიატი და განმარტა, რომ პლაგიატი იყო საკმაოდ მძიმე ბრალდება და მას დასაბუთება სჭირდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ წყარო არ იყო ამ ტექსტის მიხედვით მითითებული და ამიტომ შეიქმნა პრობლემა მოცემულ ნაშრომთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ბათილად ცნობილი დოკუმენტის შესახებ და აღნიშნა, რომ თავდაპირველად, როდესაც სტუდენტს შეუწყდა სტატუსი, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც როგორც კი აღმოაჩინეს ბათილად იქნა ცნობილი. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა თუ რა იყო შეწყვეტის შემდეგ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, რაზეც დაწესებულებამ უპასუხა, რომ 21 ში გამოიცა აღნიშნული ბრძანება ხოლო 25- ში გამოცხადდა ბათილად, ხოლო რეესტრში აისახა 2 ოქტომბერს. სტუდენტს ვიზიტის პერიოდში უკვე შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. მათ აღნიშნეს, რომ კონკრეტული დარღვევის გამო პასუხისმგებელ პირს გამოეცხადა საყვედური. რაც შეეხება სტუდენტის სამართლებრივ მდგომარეობას იგი არ გაუარესებულა, რადგან 3 დღეში იქნა გამოცემული ბათილად ცნობის შესახებ ბრძანება. ტექნიკური ხარვეზისგან მათი თქმით არავინაა დაზღვეული და სწორედ ამიტომ გამოიყენა დაწესებულებამ მექანიზმი ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია რატომ გაამახვილეს ექსპერტებმა ყურადღება მოცემული საკითხის შესახებ, მაშინ როდესაც მათ აღნიშნული ბრძანება ბათილად ცნეს და გამოსცეს სტუდენტის შეჩერების შესახებ ახალი ბრძანება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, რომ ექსპერტებს დასკვნაში, რეკომენდაციების ნაწილში მითითებული აქვთ, რომ საჭიროა ნაშრომის ხელმძღვანელის როლის მკაფიოდ აღწერა, თუმცა, დასკვნის ნაწილში რომელიც გააკეთა ექსპერტთა ჯგუფმა მითითებული იყო, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დეტალურად აღწერილი ჰქონდა ხელმძღვანელის ფუნქციები.
ასევე, მან ისაუბრა ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების წარდგენის ვადებზე. რექტორის განმარტებით მათი რეგულაციით აღნიშნული ვადა იყო ორი კვირა. მისი თქმით, სტუდენტი შემოწმების რაოდენობაში არ არის შეზღუდული. ისინი თვლიან, რომ ვადების გაზრდა არ არის საჭირო, რადგან 14 დღე სრულებით საკმარისია შესამოწმებლად. მან აღნიშნა, რომ თუკი პლაგიატის მაჩვენებელი იმ დონითაა რომ ვერ სწორდება მოცემულ ვადაში, გამოდის რომ

სტუდენტს სემესტრის განმავლობაში არანაირი კვლევა არ ჩაუტარებია და მისი ნაშრომი ხარვეზიანია.
საბჭოს წევრმა იკითხა არის თუ არა დაყოფილი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდები. დაწესებულებამ უპასუხა, რომ დაწესებულებას სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი ჰქონდა შემუშავებული. სილაბუსი აღწერდა კონკრეტული თემის მნიშვნელობას, ასევე, ხელმძღვანელის ფუნქციას, სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის კომუნიკაციას. მითითებული იყო ასევე რა შემთხვევაში და როგორ ხდებოდა ნაშრომის დაშვება. ხოლო, სილაბუსის ბოლოს ეწერა სტუდენტისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების ვალდებულების თაობაზე და მითითებული იყო ბმული, სადაც ეს დოკუმენტი სრულად იყო ატვირთული. ამავე დოკუმენტში მითითებული იყო ხელმძღვანელისთვის ნაშრომის გადაცემის თარიღები, ანტიპლაგიატის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.
საბჭოს თავმჯომარემ ჰკითხა დაწესებულებას კონკრეტულ სტუდენტთან მიმართებით იყო თუ არა ყველა პროცედურა ზედმიწევნით დაცული? ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ დეტალურად გადამოწმდა აღნიშნული კომპონენტი სტუდენტის საჩივრის გამო და იკითხა, ფიქრობდა თუ არა დაწესებულება, რომ გაეუმჯობესებინა ან გაეძლიერებინა ხელმძღვანელის ჩართულობა?
დაწესებულებამ აღნიშნა, რომ რეგულაციები ყველასათვის ერთნაირად მოქმედებდა და ვერავისთვის იქნებოდა დაშვებული საშეღავათო ქმედება. დაწესებულება ვალდებული იყო უზრუნველყოფა მოეხდინა ინფორმაციის საჯაროობის და ტრეინინგების, თანაბარი პირობები შეექმნა ყველასათვის. დაწესებულება ვერ გაარკვევდა ვის როდის დაუდგებოდა კოგნიტური დისონანსი. მათი აზრით აღნიშნული აღემატებოდა დაწესებულების შესაძლებლობას.
დაწესებულების თქმით, რიგ შემთხვევებში ისინი ვერ გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციებს, კერძოდ მან აღნიშნა, რომ გაუგებარია თუ რა იგულისხმება გონივრულ ვადაში და სად გადიოდა გონივრულობის ზღვარი. მან მაგალითად მოიყვანა ESG სახელმძღვანელო და აღნიშნა, რომ მისი სტანდარტების მიხედვით გარე შეფასება უნდა ემსახურებოდეს განვითარებას, იყოს მკაფიო და დასაბუთებული. საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ გონივრულ ვადას იყენებს კანონი და ეს არის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შეფასების საგანი ობიექტური დამკვირვებლის თვალით. კანონი განსაზღვრავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს 3 დღე, ზოგ შემთხვევაში 5 დღე და ეს ხდება გარემოებებიდან გამომდინარე. მან განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ ეს სეგმენტი გააუმჯობესოს და გამოიყენოს ექსპერტთა მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასებები თავის სასარგებლოდ.
საბჭოს წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი, რომ მას რჩებოდა შთაბეჭდილება თითქოს დაწესებულება სტუდენტს ესაუბრებოდა მხოლოდ კანონებით, ჩარჩოებით და კონკრეტული ნორმებით. საუბრის დასასრულს დაამატა, რომ აღნიშნულ პრობლემასთან ერთად კომუნიკაციის ნაკლებობის განცდაც დარჩა. ასევე, მისი ინტერესი გამოიწვია იმ ფაქტმა, იყო თუ არა პლაგიატზე შემოწმებული ნაშრომი ჩაბარებამდე და განხორციელდა თუ არა შუალედური შემოწმება?
დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ისინი კანონის და რეგულაციების სრული დაცვით ახორციელებდნენ საქმისწარმოებას და ის, რითიც დაწესებულება თავს იწონებდა იყო კომუნიკაციის გამორჩეული მეთოდოლოგია სტუდენტებთან. მათ აღნიშნეს, რომ რეგიონებში და სოფლებში, სადაც კომპიუტერებზე წვდომა არ ჰქონდათ სტუდენტებს, მათ თავად მიაწოდეს ტექნიკა, რათა ონლაინ სწავლების პერიოდში შეფერხება არ ჰქონოდათ. წარმომადგენელმა ასევე პასუხი გასცა საბჭოს წევრის მეორე შეკითხვას შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მათ გაითვალისწინეს წინა რეკომენდაციები, რომ ნაშრომები ყოფილიყო ინდივიდუალური და არა ჯგუფური. დაწესებულების ის ჩანაწერები და რეგულაციები, რომლებმაც საბჭოს მოწონება დაიმსახურა, მათ მაქსიმალურად შეასრულეს და განახორციელეს ყველანაირი ქმედება, რომ აღნიშნული შეესრულებინათ. მან ასევე ისაუბრა ანა ვაშაყმაძეზე, რომელიც იყო მარი ინაშვილის ნაშრომის ხელმძღვანელი და ყურადღება გაამახვილა მის

პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე. ასევე მან აღნიშნა, რომ როდესაც ანამ მარის გასცა პასუხი, რომ პლაგიატი არ არის მისი კომპეტენციის საკითხი, ამაში იგულისხმებოდა ის, რომ ნაშრომი პლაგიატზე მოწმდება ბიბლიოთეკის მხრიდან "თურნიითინის" პროგრამით. ნაშრომმა კი დადებითი შეფასება მიიღო ხელმძღვანელისგან მისი შინაარსობრივი მხარის გამო. პრობლემა იყო ის, რომ ნაშრომი არ იყო სტუდენტის საავტორო ნაშრომი.

საბჭოს წარმომადგენელმა ჰკითხა - ნაშრომის წარდგენის დროს ხომ არ უნდა ყოფილიყო დასკვნა იმის თაობაზე, რომ ეს ნაშრომი სანამ წარდგენილ იქნებოდა, მანამდე უნდა გასულიყო პლაგიატის პროგრამაში, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა გასცა პასუხი, რომ სწორედაც რომ მანამდე გადის არა ერთხელ, არამედ იმდენჯერ რამდენჯერაც სტუდენტი მოითხოვს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტს ნამდვილად აქვს უფლება მიმართოს თავისი უფლების დასაცავად ნებისმიერ ორგანიზაციას. სტუდენტმა, რადგან მიმართა დაცვის საშუალებას მათი აზრით, ეს არუნდა იყოს დასაძრახი. მათი მიზანი უნდა იყოს აღზარდონ კრიტიკული აზროვნების მქონე აქტიური წევრები საზოგადოებაში. მან მოუწოდა დაწესებულებას პოზიტიურად შეეფასებინა სტუდენტის მიერ საკუთარი უფლებების დაცვა.

საბჭოს თავმჯდომარემ შემოწმების შემდგომ ხელმძღვანელის ჩართულობის შესახებ დასვა კითხვა, იყო თუ არა ჩართული ხელმძღვანელი ნაშრომის შემოწმების შემდეგ (იგულისხმება როდესაც აღმოაჩინეს ტექსტის დამთხვევა 25 თუ 50 პროცენტი) როგორც დარგის სპეციალისტი?

დაწესებულებამ გააკეთა კომენტარი ბიბლიოთეკის სამსახურის შესახებ და აღნიშნა, რომ ნამდვილად იყო ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც მაგისტრანტის ნაშრომს ტექნიკურად პლაგიატის სისტემაში ტვირთავდა და შემდეგ იქიდან ჩამოტვირთვას ახორციელებდა. პირველ შემთხვევაში ტექსტის დამთხვევა იყო 70 პროცენტზე მეტი. უშუალოდ ნაჩვენები პროცენტული მაჩვენებელის ნახვის შემდგომ, მათი განცხადებით მოხდა შინაარსობრივი გარჩევა, სადაც მაქსიმალურად ჩართული იყო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი და ნაშრომის ხელმძღვანელი. ამის შემდგომა პროცენტული მაჩვენებელი ჩამოვიდა 54%-ზე. ამის შემდგომ დადგენილ ვადებში მაგისტრანტს მიეცა შესაძლებლობა, რომ გაეთვალისწინებინა ეს რეკომენდაცია და წარმოედგინა მისი სამაგისტრო ნაშრომი ხელმეორედ. მეორედ წარმოდგენის შემდეგ, პლაგიატის მაჩვენებელი დაფიქსირდა 25%. პლაგიატის ამ მაჩვენებელს ეჭქვეშ მაგისტრანტიც არ აყენებს დაწესებულების განმარტებით.

სტუდენტმა განაცხადა, რომ მასთან მოწერილი იყო მეილი, რომ მისი ნაშრომის პლაგიატის მაჩვენებელი იყო 54 პროცენტი და შესწორებული უნდა გაეგზავნა ორი დღის ვადაში. მას შემდგომ, რაც სტუდენტმა გააგზავნა გასწორებული, მიიღო პასუხი, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოვიდა 25 პროცენტზე. ამის შემდგომ მან მიიღო უნივერსიტეტისგან ინფორმაცია, რომ თურმე პირველ შემთხვევაში 70 პროცენტი იყო პლაგიატის მაჩვენებელი, რომელიც თავად დაწიეს 54 პროცენტამდე შინაარსობრივი შემოწმების შემდეგ. ეს ინფორმაცია სტუდენტმა გაიგო მას შემდეგ რაც მას დაუბრუნდა უნივერსიტეტის პასუხი, რომ 25 პროცენტი იყო ტექსტის დამთხვევა. მომჩივანი ასევე გამოეხმაურა ქალბატონი თამარის კომენტარს იმის შესახებ, რომ სტუდენტს უნდა სცოდნოდა ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით ინფორმაცია, მან უპასუხა, რომ მას არაერთხელ ჰქონდა ამ თემასთან დაკავშირებით საუბარი და მიმოწერა სოციალური ქსელის საშუალებით. მან საბჭოს შესთავაზა ეკრანის გაზიარება, სადაც ანახებდა დამსწრე პირებს ხელმძღვანელის მიერ იმ განცხადებას, რომ ''პლაგიატი მისი კომპეტენცია არ არის და ეს საკითხი თავად უნდა გამოასწოროს სტუდენტმა''. რაც შეეხება წინასწარ შემოწმებას, მარი ინაშვილის განცხადებით ნაშრომის ჩაბარების დღემდე წინასწარ არავის არ ჰქონია ამის შესაძლებლობა და არც არავის მოუწოდებია ამის შესახებ ინფორმაცია, რომ თურნიითინზე გადაემოწმებინა ნაშრომი. მან განაცხადა, რომ

უნივერსიტეტი შემოწმებას შეძლებდა მხოლოდ საბოლოო სახით ნაშრომის გაგზავნის შემდეგ. ასევე, მან აღნიშნა, რომ წყაროები მითითებული ჰქონდა, თუმცა მითითების წესი იყო დარღვეული.
საბჭოს თავმჯომარემ მიმართა დაწესებულებას ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, რომ სტუდენტს ჰქონოდა შუალედური შემოწმების შესაძლებლობა? თუკი მომჩივანს ექნებოდა საშუალება რომ თავისი ნაშრომი შუალედური შემოწმებით შეემოწმებინა ხომ არ იქნებოდა თავიდან აცილებული კონკრეტული შედეგი?
დაწესებულებამ უპასუხა, რომ როგორც კი სტუდენტმა გამოთქვა სურვილი ნაშრომის შემოწმების შესახებ, ბიბლიოთეკის მხრიდან ეს სერვისი მიიღო. პროგრამა თურნითინი რითიც სარგებლობდა დაწესებულება არ აძლევდა სტუდენტს საშუალებას ყოველ ჯერზე თავად შეემოწმებინა ნაშრომი, თუმცა დაწესებულება ამის საშუალებას აძლევდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, სისტემის მეტად დახვეწისათვის რომ სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებას, გზადაგზა შეთავაზების მაგივრად ექნებოდა სავალდებულო ხასიათი.
საბჭოს წარმომადგენელმა იკითხა თუ რა ენაზე იყო ნაშრომი შესრულებული რაზეც უპასუხეს, რომ იყო ნაშრომი იყო ქართულ ენაზე.
საბჭოს წევრმა შეკითხვით მიმართა ნაშრომის ავტორს და აღნიშნა, რომ 54 და 70 პროცენტიანი პლაგიატი ორივე შემთხვევაში საკმაოდ სავალალოა, თუნდაც ეს იყოს ტექსტის დამთხვევა. საბჭოს წევრს აინტერესებდა სხვა თანაჯგუფელებს როგორი შედეგი ჰქონდათ თავდაპირველი შემოწმების შედეგად, შეძლეს თუ არა მათ 10-12 პროცენტამდე მაჩვნეებლის დაწევა და თავად მომჩივანმა რა გზებს მიმართა რათა დაეწია აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი?
სტუდენტის განმარტებით 2 დღის განმავლობაში, წყაროების მითითების წესის ჩასწორება განახორციელა. მან ასევე დაამატა, რომ იმ ალტერნატიულმა პროგრამამ, რომელიც მან გამოიყენა პლაგიატზე შემოწმების მიზნით, ანახა 10 პროცენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2 დღის განმავლობაში მეტის შესწორება ვერ შესძლო.
მომჩივანის მიერ ნაშრომის გადაგზავნისას უნივერსიტეტმა შეამოწმა და დაადგინა 54 პროცენტიანი პლაგიატის მაჩვენებელი, რის შემდგომაც ნაშრომი გადაგზავნა სტუდენტთან, ხოლო სტუდენტის განმარტებით მის მიერ სხვა პროგრამაში ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებისას პროგრამამ უჩვენა 23 პროცენტი. ამის შემდგომ სტუდენტმა ჩაასწორა ნაშრომი, იმავე პროგრამაში გაატარა და 10-12 პროცენტიანი სხვაობის შედეგი მიიღო. ხოლო, როდესაც უნივერსიტეტში გადაგზავნა უნივერსიტეტის თურნითინის პროგრამამ 25 პროცენტიანი დამთხვევა აჩვენა.
სტუდენტმა ასევე ისაუბრა სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მივიდა უნივერსიტეტში და სთხოვა ამ პრობლემის აღმოფხვრა. ხოლო სასწავლო პროცესის წარმომადგენელმა მისი თქმით უპასუხა, რომ სტუდენტი მაინც არ აპირებდა ამ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას და არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას თუ შეჩერებას.
დაწესებულების განმარტებით იყო შემთხვევები სხვა სტუდენტების ნაშრომებზე პლაგიატის გამოვლინებასთან დაკავშირებით და პლაგიატის მაჩვენებელი აჭარბებდა 10 - 12 პროცენტს, თუმცა, დაწესებულებამ შეიმუშავა მექანიზმები და ერთობლივი თანამშრომლობით მოხდა მათი კორექტირება, მოხდა ხელმძღვანელების ინფორმირება და დროულად გასწორება. ნაშრომების უდიდესი წარდგენილ იქნა დაცვაზე. გამონაკლისი იყო მარი ინაშვილის სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

საბჭოს წევრის მხრიდან დაისვა შეკითხვა, შეძლებდა თუ არა მაგისტრანტი იგივე თემაზე ნაშრომის ხელმეორედ დაცვას და არის თუ არა ეს დაკავშირებული ფინანსურ ვალდებულებებთან. საბჭომ მოუწოდა დაწესებულებას და სტუდენტს კომპრომისული შეთანხმებისკენ სადაც ორივე მხარის ინტერესები დაბალანსდებოდა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მათი წესის თანახმად სტუდენტი ფასდება იმ სემესტრში, რომელშიც დაასრულებს

სამაგისტრო ნაშრომს, თუმცა, შესაძლებელია დაიწეროს არგუმენტირებული განცხადება იმის შესახებ, რომ ნაშრომი გარკვეული მიზეზების გამო დასრულებული არ არის და გადაიტანონ შემდეგ სემესტრში. მარის შემთხვევაში დაწესებულების განმარტებით აუცილებელი იყო მარის გამოეთქვა მზაობა ამასთან დაკავშირებით.
დაწესებულებამ ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამისთვის არის ორი დამატებითი სემესტრი და სტუდენტს შეუძლია ამ დროის განმავლობაში დაიცვას ნაშრომი. მოცემულ შემთხვევაში მარის სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს, შესაბამისად ურთიერთობა დაწესებულებასა და სტუდენტს შორის არის შეჩერებული. იმისათვის, რომ რაიმე ფორმით გაგრძელდეს ურთიერთობა მარის უნდა ჰქონდეს სურვილი BTU-სთან თანამშრომლობისა, რისთვისაც უნდა აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი. მარის პოზიციიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ვერ ხვდება მიზეზს თუ რატომ უნდა ჰქონდეს სტუდენტს ამის სურვილი.
საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულებას თუ იქნებოდა შესაძლებელი ფინანსური უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მხრიდან რაზედაც უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ სტუდენტს თანხა მაინც ექნებოდა გადასახდელი, რადგან იმავე კურსის გავლა ხელმეორედ მოუწევდა.
საბჭოს წევრის მოსაზრებით მარის 2 კვირით ადრე რომ შესძლებოდა პლაგიატის პროგრამის გამოყენება ამ ყველაფერს დაძლევდა. მისი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, რომ დარჩენილიყო მარი BTU-ში შეუწყობდნენ თუ არა ხელს, რომ ჩაბარებული ნაშრომი რამდენიმე კვირით ადრე ყოფილიყო შემოწმებული პროგრამაში და ეს პრობლემა დაძლეული?
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი ამ სემესტრშიც დაძლევადი იყო და სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა რომ ნაშრომი ჩაბარებამდე შეემოწმებინა. მან გაიმეორა, რომ თუკი მარი თუ დაწერდა განცხადებას სტატუსის აღდგენაზე და შეასრულებდა სამაგისტრო ნაშრომს, ექნებოდა უფლება, სემესტრის განმავლობაში შუეზღუდავად შეემოწმებინა ნაშრომი პლაგიატზე შემდეგ სემესტრში. მან ასევე დაამატა ისიც, რომ სტუდენტს მუშაობა უნდა დაეწყო ახალ ნაშრომზე და იმავე ნაშრომის გადამუშავებულად წარმოდგენა შემდეგ სემესტრში მას არ შეეძლებოდა.
საბჭოს თავმჯდომარის მიერ დაისვა შეკითხვა ექსპერტების მიმართ იყო თუ არა სტუდენტ მარი ინაშვილის მიმართებით დაცული ყველა პროცედურა ზედმიწევნით? რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ სრულად ყველა პროცედურა არ იქნა დაცული.
საბჭოს თავმჯდომარემ უნივერსიტეტის რექტორს მიმართა შეკითხვით, ამ დარღვეული პროცედურების მიუხედავად იყო თუ არა შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და მომზადება ფინანსურად უზრუნველეყო უნივერსიტეტს? თუკი იყო დაწესებულებაში ამ პროცესის ფორმალური გზები და როგორ ხედავდა დაწესებულება აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. უნივერსიტეტის რექტორმა უპასუხა, რომ BTU იყო მზარდი უნივერსიტეტი და ყველა საჭირო და საინტერესო რჩევას მიესალმებოდა და მზაობას გამოთქვამდა მათი განხორციელებისთვის, ხოლო ფინანსური მხარის ყველა მარეგულირებელი წესი, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებდა თანასწორ მდგომარეობაში აყენებდა ყველა სტუდენტს, სტატუს შეჩერებულს თუ აქტიური სტატუსის მქონეს. გამონაკლისის დაშვებაზე რექტორმა უარი განაცხადა, რადგან თვლიდა, რომ უნივერსიტეტისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის პოლიტიკის განხორციელება მნიშვნელოვანია. მან აღნიშნა, რომ ისინი თანახმანი იყვნენ დამატებით საკონსულტაციო საათები დაენიშნათ სტუდენტ მარი ინაშვილისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტთან მიმართებაში პლაგიატის პროცედურები სრულად დაცული არ იყო და დაწესებულებამაც აღნიშნა, რომ გასაუმჯობესებელი მხარეც ჰქონდათ მათ ამ ნაწილში, ამის მიუხედავად, დაწესებულება მაინც ფიქრობდა, რომ ამ სტუდენტისათვის გამონაკლისი გადაწყვეტილების მიღების რესურსი დაწესებულებას არ ჰქონდა?
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მათ დაუშვეს უკვე გამოსწორებულია (სტატუსის შეწყვეტის ბათილობასთან დაკავშირებით). მან

ასევე დაამატა, რომ მარი ინაშვილს თავდაპირველად 70 პროცენტიანი, შემდეგ 54 პროცენტიანი და 25 პროცენტიანი პლაგიატის შემთხვევა ჰქონდა ნაშრომთან დაკავშირებით და სხვა სტუდენტებისგან განსხვავებით თუკი სწორედ მას დაუფინანსებენ სწავლას, ამას ვერ შეძლებდნენ, რადგან თავად დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები არ მისცემდნენ უფლებას.
საბჭოს წევრმა მომჩივანს სწავლის გაგრძელების პერსპექტივასთან დაკავშირებით დაუსვა კითხვა, რაზეც სტუდენტმა უპასუხა, რომ მასთან ერთად კიდევ 8 სტუდენტმა ვერ გადალახა პლაგიატზე არსებული პროცენტული მაჩვენებელი, მაგრამ მათ მიერ მაინც მოხდა გამოსწორება. მან ასევე დაადასტურა, რომ დაწესებულებამ მისცა მას მიმართვის წერილი, რის საფუძველზეც მან უამრავ ორგანიზაციას მიმართა და უკუკავშირი მხოლოდ „სახალხო აპარატის დამცველისაგან“ მიიღო. BTU-ში სწავლის გაგრძელებაზე კი სტუდენტმა უარი განაცხადა თავად დაწესებულების დამოკიდებულებიდან გამომდინარე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შუალედურ გადახედვაზე (ნაშრომის საბოლოო ჩაბარებამდე) უარი განუცხადა. სტუდენტმა ასევე განაცხადა, რომ მობილობით იგი აუცილებლად გადავიდოდა სხვა დაწესებულებაში.
საბჭოს წევრმა მომჩივანს რჩევის სახით უთხრა, რომ პლაგიატის სხვა ალტერნატიული პროგრამებისთვის ნაკლები ნდობა გამოეცხადებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:05 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:12 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების საკითხთან დაკავშირებით შეწყდეს საქმისწარმოება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

საბჭომ მცირე განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები გასცეს, შეფასება იყო მეტწილი შესაბამისობა და დაწესებულებასთან მიმართებით საბჭოს გადაწყვეტილება იყო პოზიტიური. საბჭომ გამოთქვა სურვილი აღენიშნა, რომ განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კრიტიკული მოსაზრებები. მათი აზრით, როდესაც სტუდენტი გამოთქვამს კრიტიკას ან საკუთარ მოსაზრებას, რა თქმა უნდა იგი დაწესებულებას ეხმარება განვითარებაში. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია კრიტიკული აზრის მიმართ მეტი მიმღებლობის ქონა და ყოველთვის უნდა არსებობდეს შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები. საბჭოს წევრმა გამოთქვა მისი დადებითი განწყობა დაწესებულების მიმართ და მოუწოდა თანამშრომლობისა და მედიაციისკენ სტუდენტების მოზიდვის მიზნით. საბჭოს წევრმა ასევე განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა საბჭოს დასწრებოდა ასევე მაგისტრანტის ნაშრომის ხელმძღვანელიც.

საბჭომ მიმართა დაწესებულებას, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე წარმოედგინათ ინფორმაცია ცენტრში რა გაუმჯობესებები განხორციელდებოდა 2021 წლის ივლისის ბოლოს.

გადაწყვეტილება:

წარმოდგენილი საჩივრის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების საკითხთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ